ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №9

ქ. თბილისი 7 მარტი 2012 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი კახაბერ ნიაური

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, გიორგი ჩაჩანიძე, გიორგი ტყემალაძე, გია აბულაძე, დავით მახარობლიშვილი.

მოწვეულები: მ. ტალახაძე, ა. ჩოქური, ლ. ოქროპირიძე, რ. ნოდია, გ. გიორგაშვილი, ილ. იობიძე, კ. ხაბეიშვილი, ო. ჯაფარიძე, თ. მახარაშვილი, ვ. გვარამია, ე. მირზაევი, ლ. ექიზაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.226) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – მ. ტალახაძე).

2. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გუდამაყრის ქ. №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.12.07.005.014, 01.12.07.005.015) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსისთვის, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ა. ჩოქური, ლ. ოქროპირიძე).

3. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ყუშიტაშვილის ქ. №84-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.12.031.026) დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – რ. ნოდია).

4. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ლილოს დასახლება, I მიკრორაიონი №13 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.27.009.006) კომერციული, მრავალფუნქციური ობიექტის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

(მოწვეული – გ. გიორგაშვილი).

5. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ვარკეთილი 3-ის, II მიკრორაიონის, №23 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.023.027) შერეული ფუნქციის (კომერციული –საცხოვრებელი) შენობისთვის სამი სართულის დაშენების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ილ. იობიძე).

6. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, დაბა ზაჰესში, ჭიჭინაძის ქ. №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.12.02.387) კომერციული ობიექტის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – კ. ხაბეიშვილი).

7. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.144) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის არსებული ტერასების ნაწილის დახურვისა და სხვენის მანსარდად გადაკეთების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, დაბა ზაჰესში, ჭიჭინაძის ქ. №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.12.02.387) კომერციული ობიექტის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0,9, კ2=0,9.

რეკომენდაცია: კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 6, წინააღმდეგი: 1.

7. ო. ჯაფარიძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.144) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის არსებული ტერასების ნაწილის დახურვისა და სხვენის მანსარდად გადაკეთების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ო. ჯაფარიძე.

დადგენილი პარამეტრები – კ2=3,0.

მინიჭებული პარამეტრები – კ2=4,3.

მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=4,6.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.

- მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.144) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის არსებული ტერასების ნაწილის დახურვისა და სხვენის მანსარდად გადაკეთების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=4,6.

რეკომენდაცია: კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 5, წინააღმდეგი: 2.

8. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზირზე, სამგორის გამგეობის მოპირდაპირე მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.17.11.006.006, 01.17.11.006.007) საზოგადოებრივი (სასტუმრო, საზოგადოებრივი კვება) და სპორტული (საცურაო აუზი)კომპლექსის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – კ. დგებუაძე.
დადგენილი ზონის სახეობა – სარეკრეაციო ზონა 2.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზირზე, სამგორის გამგეობის მოპირდაპირე მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო

საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით: კ1=0,5, კ2=0,8, კ3=0,3.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე  არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი მდივანი  კახაბერ ნიაური

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 623

20 მარტი 2012 წ.

ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.144), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის არსებული ტერასების ნაწილის დახურვისა და სხვენის მანსარდად გადაკეთების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2012 წლის 7 მარტის სხდომის №9 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.144), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის არსებული ტერასების ნაწილის დახურვისა და სხვენის მანსარდად გადასაკეთებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=4,6.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160. ჯ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 23 78 170. ფაქსი: (+995 32) 23 78 200